



საჯარო სამართლის იურიდიული პირი
სოციალური მომსახურების სააგენტო

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა



KA030410401860317

04-363/ო

05 / ივნისი / 2017 წ.

С ჰეპატიტის მართვის სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში, С ჰეპატიტით დაავადებულ პირთა С ჰეპატიტის სამკურნალო ფარმაცევტული პროდუქტით უზრუნველყოფის მიზნით პროგრამის მიმწოდებლებისთვის გადაცემული С ჰეპატიტის სამკურნალო მედიკამენტების საგნობრივ-რაოდენობრივი აღრიცხვის ჟურნალის ფორმის დამტკიცების შესახებ

საქართველოს მთავრობის 2015 წლის 20 აპრილის N169 დადგენილებით დამტკიცებული „С ჰეპატიტის მართვის სახელმწიფო პროგრამის“ დანართი N1, პუნქტი 2.4-ის და საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2007 წლის 27 ივნისის N190/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - სოციალური მომსახურების სააგენტოს დებულების“ მე-4 მუხლის საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ ა :

1. დამტკიცდეს С ჰეპატიტის მართვის სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში, С ჰეპატიტით დაავადებულ პირთა С ჰეპატიტის სამკურნალო ფარმაცევტული პროდუქტით უზრუნველყოფის მიზნით პროგრამის მიმწოდებლებისთვის გადაცემული С ჰეპატიტის სამკურნალო მედიკამენტების საგნობრივ-რაოდენობრივი აღრიცხვის ჟურნალის ფორმა (დანართი N1).
2. პროგრამის მიმწოდებლებმა С ჰეპატიტის სამკურნალო მედიკამენტების საგნობრივ-რაოდენობრივი აღრიცხვა უზრუნველყონ წინამდებარე ბრძანებით დამტკიცებული ფორმის მიხედვით პროგრამით გათვალისწინებული პირობების დაცვით, დალუქულ, დანომრილ, ზონარგაყრილ და განმახორციელებლის ბეჭდით დამოწმებულ სპეციალურ ჟურნალში და აღრიცხული ინფორმაცია დაადარონ ელექტრონულ პროგრამაში აღრიცხულ ინფორმაციას ყოველდღიურად.
3. დაევალოს სააგენტოს ჯანმრთელობის დაცვის პროგრამების დეპარტამენტს (კ. ჩხარტიშვილი), უზრუნველყოს წინამდებარე ბრძანებით გათვალისწინებული ინფორმაციის მიწოდება შესაბამისი მიმწოდებლებისათვის.
4. სააგენტოს დირექტორის აპარატმა (ნ. ჩანადირი), საჯარო გაცნობის მიზნით, უზრუნველყოს წინამდებარე ბრძანებისა და მისი დანართის განთავსება სააგენტოს ვებ-გვერდზე (www.ssa.gov.ge).
5. ბრძანება ამოქმედდეს 2017 წლის 1 ივლისიდან.

სსიპ – სოციალური მომსახურების სააგენტოს
დირექტორი, საქართველოს შრომის,
ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის
მინისტრის მოადგილე



ზაზა სოფრომაძე